ხელშეკრულება № 95

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 12 ნოემბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, *ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი"*(შემდგომში _ შემსყიდველი), დირექტორის ანა დათუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, *შპს „გრინსერვისი+ "* (შემდგომში–მიმწოდებელი), დირექტორის ლაშა ფურცხვანიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.

1.1 ხელშეკრულების საგანია, *გაეროს გაერთიანებული ერების განვითარების (UNDP) პროექტის: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია" ფარგლებში,სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის ნიკო ბაგრატიონის (ბური) სახელობის სოფ.მუხრანის №1 საჯარო სკოლაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის დეკორატიული მცენარეების* შესყიდვა გრანტიდან მიღებული დაფინანსების მეშვეობით.

2. შესყიდვის ობიექტი.

2.1 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

№	*საქონლის დასახელება*	*დანაყოფის კოდი*	*რაოდენობა და განზ. ერთ*	*ერთ.ფასი (ლარი)*	*ჯამი (ლარი)*
1.	ილექსი-Ilex	03441000	2 ცალი	30	60
2.	viburnum tinus	03441000	5 ცალი	8	40
3.	ეონიმუსი-Euonymus japonicum	03441000	10 ცალი	9	90
4.	ეონიმუსი-Euonymus fortunei emerald gaiety	03441000	5 ცალი	30	150
5.	ეონიმუსი-euonymus fort emerald'n gold	03441000	5 ცალი	30	150
6.	ნანდინა-Nandina domestica	03441000	2 ცალი	18	36
7.	ნანდინა-Nandina domestica firepower	03441000	20 ცალი	8	160
8.	ღვია-Juniperus	03441000	20 ცალი	11	220
9.	როზმარინი-Rozmarinus	03441000	10 ცალი	7	70
10.	დეკორატიული კოწახური-Berberis thunbergii	03441000	10 ცალი	7	70
11.	ლონიცერა-Lonicera japonica	03441000	30 ცალი	8	240
12.	სურო-hedera	03441000	30 ცალი	8	240
13.	Vinca	03441000	30 ცალი	8	240
14	კამელია-CAMELLIA JAPONICA	03441000	1 ცალი	104	104
15.	უთხოვარი-Tacus baccata	03441000	2 ცალი	165	330
	ჯამი სულ:				*2200*

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა *2200 (ორი ათას ორასი) ლარი.*

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: *სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის ნიკო ბაგრატიონის (ბური) სახელობის სოფ.მუხრანის №1 საჯარო სკოლა.*

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ეტაპობრივად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი

უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარე

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ***გაეროს გაერთიანებული ერების განვითარების (UNDP) პროექტის: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია" პროექტის მენეჯერი ანა დათუაშვილი.***

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი :	*მიმწოდებელი :*
ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი"	*შ.პ.ს. „გრინსერვისი+ "*
მისამართი, ქ.გორი ბესიკის ქ. № 2 საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192 საბანკო რეკვიზიტები: ქ.თბილისი, სახ.ხაზინა; ხაზინის ერთ.ანგარიში მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 709177279 ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: + 995 0370 22 78 71	მისამართი, ქ.თბილისი, დიდი ლილო საიდენტიფიკაციო კოდი: 406030370 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი" ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE16TB7745236040100001 ტელ : 577 50 12 40 ელ.ფოსტა info@greenservice.ge
დირექტორი: *ანა დათუაშვილი* _____	*დირექტორი:* *ლაშა ფურცხვანიძე* _____

Green Service +LLC
Digitally signed by Green Service +LLC
Date: 2019.11.13 15:45:36 +04'00'